

საქართველოს ეროვნული ბანკი აცხადებს ვაკანსიას მომხმარებელთა უფლებების დაცვისა და ფინანსური განათლების დეპარტამენტის ფინანსური განათლების განყოფილების შტატგარეშე სპეციალისტის თანამდებობაზე.

ფინანსური სექტორის მომხმარებელთა უფლებების დაცვა და ფინანსური განათლება საქართველოს ეროვნული ბანკისთვის პრიორიტეტული მიმართულებებია. ქვეყანაში ფინანსური განათლების დონის ამაღლების მიზნით 2017 წელს ფინანსური განათლების განყოფილება შეიქმნა, რომლის ფუნქციებშიც ფინანსური განათლების მიმართულებით მიდგომების ჩამოყალიბება, პროექტების განხორციელება, და დაინტერესებულ მხარეებს შორის მჭიდრო და აქტიური თანამშრომლობის ხელშეწყობა შედის. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პროექტი, რომელზეც მიმდინარე ეტაპზე ეროვნული ბანკი მუშაობს, ფინანსური განათლების ვებგვერდის განვითარებაა.

სამუშაოს სპეციფიკა: პოზიცია მოიცავს დინამიურ და მრავალმხრივ სამუშაოს საინტერესო და ძლიერი პროფესიონალების გუნდში, რაც საშუალებას აძლევს დასაქმებულს სრულად წარმოაჩინოს და განავითაროს თავისი შესაძლებლობები, მათ შორის, შიდა და ორგანიზაციის გარეთ ტრენინგების მეშვეობით. თანამშრომლის ძირითადი პასუხისმგებლობა ფინანსური განათლების ვებგვერდის შინაარსის განვითარება და ვებგვერდის ადმინისტრირება იქნება.

მოვალეობები:

- ფინანსური განათლების ვებ-გვერდისთვის შინაარსის (რაც მოიცავს როგორც ტექსტობრივ ნაწილს, ისე კალკულატორებსა და ტესტებს) განვითარება და საჭიროებისამებრ განახლება ფინანსური განათლების განყოფილების სპეციალისტების ჩართულობით;
- ფინანსური განათლების ვებგვერდის ადმინისტრირება, რაც მოიცავს:
 - ვებ-გვერდზე სხვადასხვა ტიპის ინფორმაციის (სტატია, ბლოგი) და ინსტრუმენტების (კალკულატორი, ტესტი) განთავსებას.
 - ვებ-გვერდზე ტექსტების, ინსტრუმენტებისა და ფოტოების პერიოდულად განახლებას.
 - ვებ-გვერდის სტატისტიკის წარმოებას.
 - ვებ-გვერდის სოციალური მედიის მენეჯმენტს, რაც მოიცავს: ვებ-გვერდის სოციალური ქსელების საკომუნიკაციო გეგმის განვითარებას, თემატური პოსტების მომზადებასა და გავრცელებას; მომხმარებლების მიერ სოციალურ ქსელებში ფინანსური განათლების საკითხებთან დაკავშირებით დაფიქსირებულ მოსაზრებებსა და გამოგზავნილ შეტყობინებებზე პასუხის გაცემას.
- მომხმარებლის უფლებების დაცვის განყოფილებასთან ერთად ფინანსური განათლების მიმართულებით არსებული საჭიროებების იდენტიფიცირება და გამოსავლების შეთავაზება;

- სამომხმარებლო ბაზარზე არსებული პროდუქტებისა და რეკლამებისთვის თვალყურის დევნება;
- საერთაშორისო პრაქტიკის მოძიება, ანალიზი და ადგილობრივ ბაზარზე ადაპტირება;
- საჭიროებისამებრ, ფინანსური განათლების მიმართულებით სხვადასხვა პროექტების დაგეგმვა–განხორციელებაში მონაწილეობის მიღება;
- საჭიროებისამებრ, ადგილობრივ და საერთაშორისო პარტნიორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა.

აუცილებელი მოთხოვნები:

- უმაღლესი განათლება ფინანსების, ბიზნესის ადმინისტრირების, ეკონომიკის, სოციალური მეცნიერებების ან დაკავშირებული მიმართულებით;
- საბანკო–საფინანსო სექტორში მუშაობის მინიმუმ 1–წლიანი გამოცდილება, სასურველია, მომხმარებელთა მომსახურების (მათ შორის, საკრედიტო და საოპერაციო კუთხით), მარკეტინგის, ან დაკავშირებული მიმართულებით;
- საფინანსო სისტემისა და მომსახურებების ძალიან კარგად ცოდნა;
- წერიტი კომუნიკაციის ძალიან კარგი უნარი. წერიტი გამოცდილება (მათ შორის, აკადემიური ან ჟურნალისტური სტატიების, ბლოგების, ა.შ.) ჩაითვლება უპირატესობად;
- ინგლისური ენის სრულყოფილად ცოდნა (საუბარი და წერა);
- Microsoft Office-ის კარგ დონეზე ცოდნა;
- Adobe Photoshop-ის ან Illustrator-ის ცოდნა ჩაითვლება უპირატესობად.

უნარები:

- ძალიან კარგად განვითარებული ვერბალური და წერიტი კომუნიკაციის უნარი.
- დამოუკიდებლად მუშაობის უნარი.
- შემოქმედებითობა და ინიციატივა.
- კვლევისა და პრეზენტაციის უნარები.
- ანალიტიკური აზროვნება.
- კომუნიკაბელურობა და გუნდური მუშაობის უნარი.

თანამდებობრივი სარგო: ანაზღაურება განისაზღვრება კანდიდატის კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესაბამისად.

კონკურსის ფორმა: კონკურსი ჩატარდება 2 ეტაპად:

1. ინტერვიუ;
2. წერიტი დავალება.

დაინტერესების შემთხვევაში, გთხოვთ, 2019 წლის 21 იანვრამდე CV გამოაგზავნოთ ელექტრონული ფოსტის შემდეგ მისამართზე: vacancies@nbg.gov.ge და სათაურში მიუთითოთ FEDivision.